საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N5 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შესახებ

(2016 წლის 26 -27 აპრილი, 2017 წლის 26-31 ივნავარი)

სარჩევი

1. შესავალი 3
2. ზოგადი მიმოხილვა 4
3. ქალი პატიმრების მიღება და ტრანსპორტირება 7
4. არასათანადო მოპყრობა და უსაფრთხოება 15
5. პატიმრობის პირობები 20
5.1 ფიზიკური გარემო, სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა 20
5.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები 21
6. სამედიცინო მომსახურება 27
7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება 34
8. კონტაქტი გარე სამყაროსთან 36
9. დედათა და ბავშვთა მდგომარეობა 39
10. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი პატიმრები 41

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის 26 -27 აპრილსა და 2017 წლის 26-31 იანვარს N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტიტების ანგარიშს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად, 2016 წლის 26-27 აპრილს განხორციელებულ დაწესებულების მონიტორინგში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები.[1] ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია.

ანგარიშის მომზადების პროცესში, პირველადი მიგნებების გადამოწმების მიზნით, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორისაგან და მთავარი ექიმისაგან. N5 პენიტენციური დაწესებულება არის ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება – ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი - 1349 ბრალდებული/მსჯავრდებული; 2016 წელს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საშუალო როდენობა შეადგენდა 266 პატიმარს.[2]

ანგარიშის მომზადებისას მონიტორინგის ჯგუფი დაეყრდნო როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, ასევე ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებით (ბანგკოკის წესები) დადგენილ სტანდარტებს.

---

[1]2016 წლის 26 -27 აპრილის ვიზიტში მონაწილე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ლევან ბეგიაშვილი, ეკატერინე დარსანია, ზურაბ მახაშვილი, კახა ღვინიანიძე, ეკა ქობესაშვილი, შორენა ღუდუშაური. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი: მერი მაღლაფერიძე. თანასწორობის დეპარტამენტი: მარიეტა ახვლედიანი; 2017 წლის 26-31 იანვრის ვიზიტში მონაწილე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: დანიელ მგელიაშვილი, ლევან ბეგიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ნინო დემეტრაშვილი, ირმა მანჯავიძე, ინდირა გვარმიანი, ლალი წულეისკირი, ოლღა კალინა, ნინო დემეტრაშვილი, ინდირა გვარმიანი.

[2]საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის 2016 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.moc.gov.ge/ka/saqarthvelos-sasjelaghsrulebisa-da-probaciis-saministros-sistemis-statistikis-2016-tslis-angarishi [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

2. ზოგადი მიმოხილვა

სახალხო დამცველი მიესალმება N5 ქალთა დაწესებულებაში სკანერის აპარატების დამონტაჟებასა და N5 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას, რომლის შესაბამისად ბრალდებულ/მსჯავრდებულს უფლება აქვს პირადი სრული შემოწმება გაიაროს სკანერის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, 2016 წელს განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ N5 ქალთა დაწესებულებებში, ყველა შემთხვევაში არ ხდებოდა სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის გამოყენება.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრანსპორტირების გაუმჯობესების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს, კონკრეტულად კი პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს ავტოპარკის განახლებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მონიტორინგის დროს გამოკითხული ქალი პატიმრების ნაწილი აღნიშნავდა, რომ არის ერთეული შემთხვევები, როდესაც ხდება რამდენიმე პატიმრის ერთდროული ტრანსპოერტირება დიდი მოცულობის მოძველებული ავტომანქანით.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. აღსანიშნავია, რომ N5 დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 დაწესებულებაში 2016 წლის განმავლობაში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს, რომლის ფარგლებშიც მოეწყო საპატიმრო ნაწილის კორპუსის ორი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორი სპეციალური საკანი; გარემონტდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შემოწმება-დათვალიერების ოთახი; შეკეთდა სამედიცინო ნაწილში არსებული რამდენიმე პალატა, ოთახი და კაბინეტი, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა ოთახები. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს პატიმრებისთვის განკუთვნილი საშხაპეების გარემონტება და პრივატულობის დაცვის მიზნით საშხაპე კაბინაზე ფარდების ჩამოკიდება.

მიუხედავად ამისა, დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არ არის საკმარისი ხელოვნური ვენტილაცია. საპატიმრო განყოფილებაში არსებული საკნების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, საკნები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. საკნებში არ მოდის ცხელი წყალი, პატიმრებს ტანსაცმლის გარეცხვა უწევთ ხელით, პირდაპირ ონკანის ქვეშ, ცივ წყალში, ხოლო პირადი ჰიგიენის დასაცავად უხდებათ წყლის გაცხელება მადუღარით. საპატიმრო განყოფილების საკნებში მყოფი პატიმრების განმარტებით, საშხაპეში ყოფნის დრო შეზღუდულია (როგორც პატიმრები ამბობენ, შხაპისთვის 15-20 წუთი აქვთ). პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტისას, „A“ კორპუსში მცხოვრები პატიმრები აცხადებდნენ, რომ ისინი არ იმყოფებიან სხვა პატიმრებთან თანაბარ მდგომარეობაში, რაც გამოიხატება, დაწესებულების „C“ და „D“ კორპუსების ტერიტორიაზე მცხოვრები პატიმრებისაგან განსხვავებით, მათთვის კომპიუტერის და სალონის რეგულარულად ხელმისაწვდომობის პრობლემაში.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის კუთხით ჩატარებულ აქტივობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“, რომელიც წარმოადგენს ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან სხვა ფსიქო-აქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის თერაპიულ მოდელს. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს გათავისუფლებისათვის მომზადების, ოჯახურ სირთულეებთან გამკლავებისა და კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებისათვის ჩატარებული ტრენინგები. სახალხო დამცველი მიესალმება ქალი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში უნდა განხორციელდეს. სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავს, დაწესებულებაში სპორტული და სხვა სახის კულტურული ღონისძებების, პროფესიული, სახელობო და ტრენინგების ჩატარებას. მიუხედავად ამისა, დახურული ტიპის ნაწილში მოთავსებული მსჯავრდებულები ნაკლებად არიან ჩართულნი სარეაბილიტაციო პროგრამებში.

სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავს 2016 წელს 2015 წელთან შედარებით N5 დაწესებულებაში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობის გაზრდას. მათ შორის, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულებისათვის ინდივიდუალურ საქმიანობისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსი მინიჭებას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურება კარგია, საჭიროებისას დროულად უტარდებათ შესაბამისი ექიმი – სპეციალისტების კონსულტაციები, როგორც პენიტენციურ, ისე სამოქალაქო სექტორში. ასევე დროულად მიეწოდებათ დანიშნული მედიკამენტები. სამედიცინო ბარათების შესწავლისას ჩანს ექიმ – სპეციალისტთა აქტიური მონაწილეობა პაციენტთა მკურნალობა-მეთვალყურეობის პროცესში.

სახალხო დამცველი მიესალმება პენიტენციურ დაწესებულებებში მოწვეულ ექიმ-სპეციალისტების მიერ განხორციელებული კონსულტაციების აღრიცხვის ერთიანი ჟურნალის შემუშავებას. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ N5 დაწესებულებაში არ ხდებოდა აღრიცხვის ერთიანი ჟურნალების სრულყოფილი შევსება.

კერძოდ, ჟურნალის შესაბამის გრაფაში არ ეწერა პაციენტის ექიმ-სპეციალისტთან ჩაწერის თარიღი.

მიუხედავად იმისა, რომ წამლის სამარაგოში დაცულია მედიკამენტების შენახვის ტემპერატურული რეჟიმი, სამარაგოს კედლები და იატაკი მოპირკეთებულია იმგვარად, რომ შეუძლებელია სველი წესით დამუშავება, რის გამოც დაცული არ არის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბერის N575 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2016 წლის მონაცემებით თითქმის განახევრებულია დისციპლინური სახდელების გამოყენების რაოდენობა. მისასალმებელია, რომ 2016 წლის მონაცემებით არ დაფიქსირებულა ხანმოკლე პაემნების შეზღუდვა.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 პენიტენციური დაწესებულების პატიმრობის ნაწილში არსებულ 2 სამარტოო საკანში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით 2016 წელს ზოგადად შემცირებულია წახალისების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით გაზრდილია პატიმართა წახალისება მსჯავრდებულთა სარეაბილიატაციო აქტივობებში მონაწილეობისათვის.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგების დროს N5 დაწესებულებებიდან რამდენჯერმე სცადეს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე (1481) დარეკვა, თუმცა უშედეგოდ.

N5 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატებით. აღსანიშნავია, რომ ტელეფონები განთავსებულია ღია სივრცეში შესაბამისი გადახურვისა და სატელეფონო კაბინების გარეშე, რაც პრობლემას ქმნის უამნიდობისას ტელეფონით სარგებლობისას. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა ვიდეოპამნების განხორციელების რაოდენობა.

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადებულ პატიმრობის კოდექსსა და თანმდევ კანონებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც დედათა მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ითვალისწინებს.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2015 წელს გაცემული რეკომენდაციის შესრულებას, კონკრეტულად კი, მისასალმებელია დედათა და ბავშვთა განყოფილებების საცხოვრებელ კორპუსში რემონტისა და ავეჯის განახლების სამუშაოების ჩატარებას.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ბავშვები უზრუნველყოფილი არიან გეგმიური სამედიცინო მომსახურებით, საჭირო საკვებით და ჰიგიენური საშუალებებით. დაწესებულებაში პედიატრი, გეგმიურად, კვირაში ერთხელ დადის, თუმცა, შესაძლებელია გამოძახებაც. ბავშვთა კვებას, საჭიროების შესაბამისად, დაწესებულების პედიატრი აძლევს შეკვეთას. დადებითად უნდა შეფასდეს დედისა და ბავშვის საკვებითა და ჰიგიენური საშუალებებით მომარაგების საკითხი.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგი დაწესებულებაში დედებთან ვერ მუშაობს. დედებისათვის არ ტარდება სპეციფიკური ფსიქოლოგიური განათლების სესიები ბავშვის აღზრდის და მოვლის უნარ-ჩვევების ასათვისებლად. სათანადო კვალიფიკაციური კადრის არყოლის გამო ასევე არ ტარდება ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევები.

დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს უცხოელი პატიმრების კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან. განსაკუთრებით, კი პრობლემურია კომუნიკაცია სამედიცინო პერსონალთან. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში ხდება თარჯიმნის მოწვევა, ძირითად შემთხვევაში ისინი მოკლებულნი არიან დაწესებულების პერსონალთან შესაბამის კომუნიკაციას. განსაკუთრებული პრობლემები იკვეთება ჩინეთისა და ბრაზილიის მოქალაქეებთან კომუნიკაციის კუთხით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების პატიმრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ N5 დაწესებულებაში პრობლემურია უცხოელი პატიმრების ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია. პატიმრების განცხადებით, საერთაშორისო ზარების განხორციელების სიძვირიდან გამომდინარე, ისინი ხშირად ვერ ესაუბრებიან ოჯახის წევრებს. ასევე, ძვირი ღირს წერილის გაგზავნა და ამანათების მიღება. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული სიშორის გამო, უცხოელი პატიმრები ფაქტიურად მოკლებულნი არიან ახლობლებთან ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნების განხორციელების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტისას გაირკვა, რომ უცხოელ პატიმრებს, სხვა პატიმრების მსგავსად არ მიუწდვებათ ხელი დაწესებულებაში არსებულ აქტივობებზე.

3. ქალი პატიმრების მიღება და ტრანსპორტირება

მანდელას წესების შესაბამისად, პატიმრებისა და საკნების ჩხრეკის მარეგულირებელი კანონები და დებულებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლებრივ

ვალდებულებებს და ითვალისწინებდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს ციხეებში უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით. ჩხრეკა უნდა ტარდებოდეს ჩხრეკის ობიექტის, ადამიანური ხელშეუვალი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაზომიერების, კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით.[3]

სხეულის შემოწმების ინვაზიური ბუნებიდან გამომდინარე, სრული შემოწმება შესაძლებელია იყოს დამთრგუნველი ან დამამცირებელი ყველა დაკავებულისათვის. ქალები კიდევ უფრო დაუცველნი და მოწყვლადნი არიან ამ სიტუაციაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრის სხეულის სრული შემოწმება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია დაწესებულებაში, პატიმრებისა და გარშემომყოფთა უსაფრთოხებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად.[4]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ სრული გაშიშვლება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული ეჭვის საფუძველზე, შესაბამის გარემოში და განხორციელდეს ღირსების პატივისცემის პირობებში.[5]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* - აღნიშნა, რომ სრული შემოწმება, ზოგადად, წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმების გამოყენება იყოს კანონთან შესაბამისობაში, გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებელი ზომა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[6]

N5 დაწესებულების დირექტორის წერილის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმება/დათვალიერებისას სხეულში აკრძალული ნივთი არ აღმოჩენილა.[7] ის ფაქტი, რომ 2016 წლის განმავლობაში არცერთი ბრალდებული/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას არ იყო აღმოჩენილი რაიმე სახის

---

[3]გაეროს გენერალური ასამბლეა, პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები), წესი 50, რეზოლუცია მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 2016 წლის 8 იანვარს, A/RES/70/175.

[4]წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[5]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ბულგარეთის მთავარობისადმი ბულგარეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2014 წლის 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 იანვარს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":["squat"],"CPTSectionID":["p-bgr-20140324-en-23"]} [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[6]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 სექტემბრის განჩინება საქმეზე *უეინრაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wainwright v. the United Kingdom),* პარ 42-43.

[7]N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193) (შემდგომში N5 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის წერილი).

აკრძალული ნივთი მეტყველებს იმაზე, რომ დაწესებულებაში ყველა შემთხვევაში სრული შემოწმების ჩატარების საჭიროება არ არსებობს.

დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ასევე გასათვალისწინებელია, რომ უსაფრთხოების სისტემა მოიცავს სხვა მრავალ ელემენტს. მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად შემოწმებასა და დაწესებულების ტერიტორიისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პერიოდულ და მოულოდნელ დათვალიერებას.[8] უსაფრთხოების დაცვის სხვადასხვა მექანიზმის არსებობის პირობებში მნიშვენლელოვანია, რომ თითოეული შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს ისეთი უსაფრთხოების მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე გამოსადეგ, თანაზომიერ და ნაკლებად შემზღუდავ საშუალებას. აქვე აღსანიშნავია, რომ როდესაც პატიმარი თანამშრომელთა უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფება, ნივთის მიღების, შენახვისა და სხვა პირისათვის გადაცემის შესაძლებლობა მაქსიმალურად შემცირებულია. შესაბამისად, უსაფრთოხების უზრუნველყოფის მიზანი არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ სრული შემოწმების განხორციელებას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმარი თანამშრომელთა უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფება, ნივთის მიღების, შენახვისა და სხვა პირისათვის გადაცემის რისკი პრაქტიკულად შემცირებულია. ასეთ შემთხვევებს შეიძლება განეკუთვნებოდეს პატიმრის სასამართლოში ან საავადმყოფოში გადაყვანა.

სრული შემოწმების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია, რომ იგი განხორციელდეს ადამიანის პატივისა და ღირსების პატივისცემის პირობებში. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების განხორციელებისას არ უნდა მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა.[9]

სრული შემოწმება უნდა განხორციელდეს ცალკე ოთახში, სხვა პატიმრებისა და პირებისგან მოშორებით. ოთახში ადეკვატურად უნდა იყოს დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.[10] მნიშვნელოვანია, რომ ყოველი შემოწმების წინ მოხდეს ადგილის დასუფთავება და ინსტრუმენტების სტერილიზება.

---

[8] პენიტენციური დაწესებულებების დებულებები.

[9]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთის მთავარობისადმი ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის CPT), მიერ 2014 წლის 1-10 აპრილის ჩათვლით, პარა. 85, გამოქვეყნდა 2015 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng#{"fulltext":["squat"],"CPTSectionID":["p-cze-20140401-en-30"]} [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[10]წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

N5 დაწესებულებაში მოთავსებული ქალი პატიმრების შეფასებით ინსტრუმენტები, რომლითაც ხდება მათი სამედიცინო შემოწმება არ არის არა სტერილური. გინეკოლოგიური სავარძლის გადასაფარებელი არ არის ერთჯერადი მოხმარების. ხოლო ექიმები არ არიან უზრუნველყოფილნი ერთჯერადი ხელთათმანებით.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა N5 ქალთა დაწესებულებაში სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა ჩანაცვლებულიყო ისეთი ალტერნატიული მეთოდით, როგორიცაა სკანირება.

აღნიშნული რეკომენდაცია ეფუძნებოდა 2015 წელს N5 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს, რომლის თანახმადაც ხდებოდა ქალ პატიმართა გაშიშვლება და ბუქნების გაკეთების მოთხოვნა. ქალი პატიმრები განმარტავდნენ, რომ აღნიშნული პროცედურები იყო დამამცირებელი და მორალურ ზიანს აყენებდა მათ. აგრეთვე, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროცედურები ტარდებოდა პატიმრის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას და დაბრუნების ყველა შემთხვევაში, პატიმრები უარს აცხადებენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო პროცესზე გაყვანაზე.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია სკანერის, როგორც ქალი პატიმრების სრული შემოწმების ალტერნატიული მეთოდის, გამოყენებაზე ეფუძნებოდა ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებს (ბანგკოკის წესები), რომლის მიხედვითაც სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა უნდა ჩაანაცვლოს ისეთმა შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, რათა თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა.[11]

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს - N5 ქალთა დაწესებულებაში სკანერის აპარატების დამონტაჟებასა და N5 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას, რომლის შესაბამისად ბრალდებულ/მსჯავრდებულს უფლება აქვს პირადი სრული შემოწმება გაიაროს სკანერის გამოყენებით.

2016 წელს განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ N5 ქალთა დაწესებულებებში, ყველა შემთხვევაში არ ხდებოდა სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის გამოყენება. კონკრეტულად კი, ქალთა დაწესებულებაში სკანერი გამოიყენებოდა სრულ შემოწმებასთან ერთად და არა როგორც სრული შემოწმების ალტერნატივა. აღნიშნული პირდაპირ

[11]გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესები (ბანგკოკის წესები) წესი 19, 20, 2010 წლის 6 ოქტომბერი, A/C.3/65/L.5.

წინააღმდეგობაში მოდის ბანკოკის წესებით დადგენილ სტანდარტებთან. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სკანერის, როგორც ალტერნატიული მეთოდის, გამოყენების შემთხვევაში არ უნდა მოხდეს შემოწმების სხვა დამატებითი მეთოდების გამოყენება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას N5 ქალთა დაწესებულებაში მოთავსებული რამდენიმე პატიმარი უკმაყოფილებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ პაემანზე მისული მცირეწლოვანი ბავშვების შემოწმება ხდება გაშიშვლებით. ნელსონ მანდელას წესების შესაბამისად, სხეულის სრული შემოწმება მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული მნახველების შემთხვევაში და ის არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვების მიმართ.[12]

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების შემოწმება გულისხმობს პირის კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმებას. დებულებებში აგრეთვე მითითებულია, რომ დაწესებულებაში შემოსული პირის შემოწმება უნდა განხორციელდეს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში, როდესაც პირს, რომელიც საკონტროლო-გამშვებ პუნქტში გადის, განზრახული აქვს შეიტანოს დაწესებულებაში აკრძალული ნივთები, ნივთიერებები და აკრძალული საკვები პროდუქტები ან გაიტანოს დაწესებულებიდან არაკანონიერად შეძენილი მატერიალური ფასეულობები.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსის შესაბამისად სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დაწესებულებაში შესასვლელად არ საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას და მათზე დაწესებულებაში შეშვების განსხვავებული წესი მოქმედებს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დათანხმდნენ მათდამი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მოთხოვნილი შემოწმების პროცედურის გავლას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მხრიდან აღნიშნულ შემოწმებაზე დათანხმების მიზანს წარმოადგენდა დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების მიმართ დამკვიდრებული უკანონო და გაუმართლებელი შემოწმების პრაქტიკის დოკუმენტირება. ამ შემთხვევის საინტერესო გარემოებები მოცემულია ქვემოთ.

2017 წლის 26 იანვარს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს N5 დაწესებულებაში მოსთხოვეს სრული შემოწმება. მათ დაწესებულების დაცვის განყოფილების უფროსმა განუმარტა, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლისა და გამოსვლისას უნდა გაევლოთ შემოწმება სპეციალური სკანერის აპარატის მეშვეობით. უარის შემთხვევაში, მათ შესთავაზეს ალტერნატივა - სრული შემოწმების სახით. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად დაწესებულების დირექტორი, მისი მოადგილე და დაწესებულების იურისტი მიუთითებდა გაურკვეველ ბრძანებაზე, რომელიც დაწესებულების შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას იყო გამოკრული. აღნიშნულ დოკუმენტზე მითითებული იყო, რომ თუ

[12]მანდელას წესები, წესი 60(2).

დაწესებულების საკონტროლო გამშვებ პუნქტზე შემოსული პირი არ გაივლიდა სკანერით შემოწმებას, დაწესებულებაში შემოსვლა/გასვლის დროს უნდა გაევლო სრული შემოწმება.

როგორც შემდგომ გაირკვა, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო არა ბრძანება, არამედ ბრძანების პროექტი, რაც დღემდე არ არის დამტკიცებული. მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დაემორჩილნენ აღნიშნულ მოთხოვნას და გაიარეს შემოწმება სკანერის მეშვეობით. შუადღეს, N5 დაწესებულებიდან დროებით გამოსვლისას და შემდგომში უკან შესვლისას, სკანერით შემოწმებაზე უარის თქმის გამო, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს მოსთხოვეს გაევლოთ შემდეგი სახის შემოწმება: დაწესებულების შესასვლელთან არსებულ იზოლირებულ, სათვალთვალო კამერით აღჭურვილ ოთახში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მდედრობითი სქესის წევრებს გაახდევინეს ფეხსაცმლები, ასევე შეამოწმეს ტანსაცმელზე გარედან ხელის შეხებითა და მეტალოდეტექტორის გადატარებით, ამოატრიალებინეს ჯიბეები და სთხოვეს გამოეწიათ ბიუსტჰალტერები. ჯგუფის მამრობითი სქესის წევრებს კი მოსთხოვეს ფეხსაცმლის გახდა, ამოატრიალებინეს ჯიბეები და შეამოწმეს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს განუმარტეს, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების სტატუსიდან გამომდინარე დაუშვეს გამონაკლისი და, დაწესებულებაში შემსვლელი პირებისათვის სკანერით შემოწმების ალტერნატივად გამოიყენება სრული შემოწმება, რაც ტანსაცმლის გახდას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დაწესებულებაში შემსვლელი პირების მიმართ უგულებელყოფილია პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით განსაზღვრული ნორმები. კონკრეტულად კი, სახალხო დამცველის უკიდურეს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დაწესებულებაში მყოფ პატიმრებთან ხანგრძლივ და ხანმოკლე პაემანზე შემსვლელი პირების კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმება ხდება რუტინულად და არა დასაბუთებული ვარაუდიდან გამომდინარე. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში შემსვლელ პირებს უკანონოდ სთხოვენ ნაწილობრივ (გაშიშვლებით) შემოწმების გავლას.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს მიმართა წერილით, რომლითაც მოითხოვდა დაფიქსირებულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამის რეაგირებას.[13] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაგზავნილი წერილის საპასუხოდ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში

[13]სახალხო დამცველის მიერ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისათვის 2017 წლის 13 მარტს გაგზავნილი წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/3330).

მიმდინარეობს მუშაობა სამართლებრივი რეგულაციების დახვეწისა და შემუშავების მიზნით, რათა მომავალში მსგავსი ფაქტები თავიდან იქნეს აცილებული.[14]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის იდეა ეფუძნება ამ მექანიზმის წევრების დაკავების, თავისუფლების აღკვეთისა და სხვაგვარად შეზღუდვის ადგილებში დაუბრკოლებელ შესვლასა და ასეთ ადგილებში მოულოდნელი (წინასწარ შეტყობინების გარეშე) მონიტორინგის ჩატარებას, რაც, თავის მხრივ, ემსახურება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას. როგორც წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი, ასევე „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზანი და სულისკვეთება ცხადყოფს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატისა და ფუნქციების ეფექტურად განსახორციელებლად აუცილებელია სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების დაშვება დახურული ტიპის დაწესებულებებში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

ამ მხრივ, „პატიმრობის კოდექსი“ (მუხ. 60(1)-„ზ“) სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო რეგულაციებთან, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები დაწესებულებაში შესასვლელად არ საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას და მათზე დაწესებულებაში შეშვების განსხვავებული წესი მოქმედებს.

შესაბამისად, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს, თავისი მანდატიდან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში შესასვლელად არ მოეთხოვება რაიმე შემოწმების გავლა, მით უმეტეს, არ ეკისრება სკანერით შემოწმების ან სრული შემოწმების გავლის ვალდებულება. თუმცა, დამკვიდრებული პრაქტიკით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები გამოხატავდნენ კეთილ ნებას და მაინც გადიოდნენ შემოწმებას მეტალოდეტექტორის მეშვეობით, რისი ვალდებულებაც მათ არ ჰქონდათ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესახებ, რათა თავიდან აიცილონ როგორც პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნა, ასევე რიგითი მოქალაქეების უფლებების არაგონივრული შეზღუდვა.

სახალხო დამცველს მნიშნელოვანად მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დაწესებულებაში შემსვლელი პირების შემოწმების პროცედურების მონიტორინგს. აღნიშნული მნიშნელოვანია, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოირიცხოს თანამშრომლების თვითნებობა და დაწესებულებაში შემსვლელი პირების შემოწმება

[14]სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროს 2017 წლის 16 მარტის წერილი MOC 917 00201654 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/3330).

განხორციელდეს არსებული ნორმატიული ბაზისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ნელსონ მანდელას წესების მიხედვით, აკრძალულია პატიმრების გადაადგილება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების, ან სხვა ნებისმიერ რთულ პირობებში.[15] 2015 წლის განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა გაუმჯობესებულიყო დედათა და ბავშვთა ტრანსპორტირების პირობები.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრანსპორტირების გაუმჯობესების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს, კონკრეტულად კი პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს ავტოპარკის განახლებას.[16] სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ქალი პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლივ გაუმჯობესდა ტრანსპორტირების საკითხი. მიუხედავად აღნიშნულისა, მონიტორინგის დროს გამოკითხული ქალი პატიმრების ნაწილი აღნიშნავდა, რომ არის ერთეული შემთხვევები, როდესაც ხდება რამდენიმე პატიმრის ერთდროული ტრანსპოერტირება დიდი მოცულობის ავტომანქანით, რომელიც არის მოძველებული, აქვს მოუხერხებელი დასაჯდომი და არ არის კომფორტული ტრანსპორტირებისას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების მოთხოვნა განხორციელდეს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპებზე დაყრდნობით**
- **მიიღოს ყველა ზომა, რათა სრული შემოწმების განხორციელებისას N5 დაწესებულებაში არ მოხდეს პირის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა; აღმოიფხვრას ე.წ „ბუქნების გაკეთების“ პრაქტიკა**

---

[15] მანდელას წესები, წესი 73.

[16]საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 აგვისტოს წერილი N699606 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N08/5870.

- მიიღოს ყველა ზომა, რათა N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში აღმოიფხვრას პატიმართან შესახვედრად შემსვლელი მცირეწლოვანი ბავშვების სრული შემოწმების პრაქტიკა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა N5 დაწესებულებაში სკანირების, როგორც ალტერნატული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, არ მოხდეს დამატებით შემოწმების სხვა მეთოდების გამოყენება
- უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის მიერ დაწესებულებაში შესვლის უფლების მქონე პირების შესვლის პროცედურების მონიტორინგი, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოირიცხოს თანამშრომლების თვითნებობა და დაწესებულებაში შემსვლელი პირების შემოწმება განხორციელდეს არსებული ნორმატიული ბაზისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- უზრუნველყოს გენერალური ინსპექციის მიერ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის შემოწმების პროცედურების მონიტორინგი, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოირიცხოს თანამშრომლების თვითნებობა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შემოწმება განხორციელდეს არსებული ნორმატიული ბაზისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს, თავისი მანდატიდან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში შესასვლელად არ მოეთხოვება კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმება, მითუმეტეს, არ ეკისრება სკანერით შემოწმებისა და სრული შემოწმების გავლის ვალდებულება.
- იიღოს ყველა ზომა, რათა ყოველი შემოწმების წინ მოხდეს ადგილის დასუფთავება, ინსტრუმენტების სტერილიზება და შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება
- მიღოს ყველა ზომა, რათა გინეკოლოგიური სავარძლის გადასაფარებელი გამოიყენებოდეს ერთჯერადად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ექიმები უზრუნველყოფილნი იყვნენ ერთჯერადი ხელთათმანებით.

4. არასათანადო მოპყრობა და უსაფრთხოება

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია არ მიუღია. ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების

კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ელექტრომეთვალყურეობის დაწესება შესაძლებელია გამართლებული იყოს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ის გამოყენებულ იქნეს გამონაკლის შემთხვევებში და შესაბამისი დაცვის გარანტიებით, როგორიცაა უსაფრთოხების ღონისძიების პერიოდული გადასიჯვა და ჩანაწერთა წიგნში მოვლენების რეგულარული ინტერვალებით ჩაწერა.[17] ამავე დროს, გამომდინარე იქედან, რომ პატიმრის ელექტრონული მეთვალყურეობის ქვეშ მოთავსება წარმოადგენს პატიმართა პირად სივრცეში უკიდურეს შეჭრას, მნიშვნელოვანია, რომ რესურსები მიმართული იყოს დინამიური უსაფრთოხების კონცეფციის დასანერგად. მათ შორის, პერსონალისა და პატიმრის პირდაპირი ურთიერთობის მხარდაჭერის გზით.[18]

ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის დაწესება შესაძლებელია გამართლებული იყოს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ის გამოყენებულ იქნეს გამონაკლის შემთხვევებში და შესაბამისი დაცვის გარანტიებით, როგორიცაა უსაფრთოხების ღონისძიების პერიოდული გადასიჯვა და ჩანაწერთა წიგნში მოვლენების რეგულარული ინტერვალებით ჩაწერა.[19]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.[20]

---

[17]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში თურქეთის მთავარობისადმი თურქეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT), მიერ 2009 წლის 4-17 ივნისის ჩათვლით, პარა 53, გამოქვეყნდა 2011 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/documents/tur/2011-13-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[18]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში უკრაინის მთავარობისადმი უკრაინაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT), მიერ 2014 წლის 9-16 სექტემბრის ჩათვლით, პარა 52, გამოქვეყნდა 2015 წლის 29 აპრილს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-ukr-20140909-en-9 [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[19]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში თურქეთის მთავარობისადმი თურქეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT), მიერ 2009 წლის 4-17 ივნისის ჩათვლით, პარა 53, გამოქვეყნდა 2011 წლის 31 მარტს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/documents/tur/2011-13-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[20]ევროპის საბჭო: წამების პრევენციის კომიტეტი, ანგარიში უკრაინის მთავარობისადმი უკრაინაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა წამებისა და არაადამიანური და

N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილია დაწესებულების პატიმრობის ნაწილის მე-5-ე, მე-15-ე, 21-ე, 29-ე საკნები. აღსანიშნავია, რომ N5 დაწესებულებაში 2015 წელთან[21] შედარებით, 2016 წელს[22] მცირედით შემცირდა ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების რაოდენობა.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

> „დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება.“[23]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა

დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტის (CPT), მიერ 2012 წლის 1-10 დეკემბრის ჩათვლით, პარა 52, გამოქვეყნდა 2013 წლის 5 სექტემბერს, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[21]2015 წელს პატიმართა საშუალო როდენობას თვეების მიხედვით წარმოადგენდა 304 პატიმარი; ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა დაწესდა 55 შემთხვევაში.

[22] 2016 წელს მსჯავრდებულთა საშუალო როდენობა თვეების მიხედვით საშუალოდ 266 პატიმარი; ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა დაწესდა 30 შემთხვევაში.

[23] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 54 (1)

ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ბრძანებაში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არ არის ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

ასე მაგალითად:

- ბრალდებული ა. გ იმყოფება აღელვებულ მდგომარეობაში, ტირის ან იქცევა არაადეკვატურად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზაშეწონილად მიმაჩნია ბრალდებულ ა.გ-ს მიმართ განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა.
- ბრალდებული ი. მ იმყოფება აღელვებულ მდგომარეობაში, ტირის ან იქცევა არაადეკვატურად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზაშეწონილად მიმაჩნია ბრალდებულ ი.მ-ს მიმართ განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა.
- ბრალდებული ნ.გ იმყოფება აღელვებულ მდგომარეობაში, ტირის ან იქცევა არაადეკვატურად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზაშეწონილად მიმაჩნია ბრალდებულ ნ.გ-ს მიმართ განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა.
- მსჯავრდებული ნ.ქ იმყოფება სულიერად აღელვებულ მდგომარეობაში, აგრესიულია თანამშრომლების მიმართ და იქცევა არაადეკვატურად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომიდნარე მიზანშეწონილია ნ.ქ-ს მიმართ განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთაყურეობა;
- ბრალდებულმა ხ.ბ მოგვმართა განცხადებით, სადაც აღნიშნავდა, რომ იმყოფება აღელვებულ და განერვიულებულ მდგომარეობაში და ითხოვს საკნის შეცვლას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ხ.ბ-ს მიმართ განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა;

შუამდგომლობებში არსებული ერთგვაროვანი და სუსტი დასაბუთების ხარისხი მიანიშნებს მის შაბლონურ ხასიათზე. კონკრეტულად, კი შუამდგომლობებიდან არ ჩანს, თუ რამდენად უქმნიდა აღნიშნული პირის მდგომარეობა რეალურ საფრთხეს პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ (თვითმკვლელობა, თვითდაზიანება, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობა, ქონების დაზიანება, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ

სამართალდარღვევის თავიდან აცილება) უსაფრთხოების ინტერესებს. აგრეთვე, შუამდგომლობებიდან არ ჩანს საკუთარი თავისა და სხვა პირისათვის ზიანის მიყენების რეალური რისკის არსებობა. ასევე, მასში არ არის მიმოხილული, აღენიშნება თუ არა პიროვნებას ფსიქიკური პრობლემები, ჰქონდა თუ არა წარსულში გამოვლენილი ანტისოციალური ქმედებები, თვითდაზიანებისა და სუიციდისკენ მიდრეკილება, რაც შეიძლება მიანიშნებდეს ასეთი რისკების არსებობაზე.

უსაფრთოხების განყოფილების შუამდგომლობებიდან აგრეთვე არ ჩანს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. მაგალითად, შეხვდა თუ არა პატიმარს ფსიქოლოგი, ფსიქიატრი ექიმი, სოციალური მუშაკი, იმყოფებოდა თუ არა პეროსნალის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. რაც შეეხება დირექტორის ბრძანებას, ის საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას, შესაბამისად, დაუსაბუთებელი და შაბლონური ხასიათისაა.

პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

> „ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება.“

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.“ ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.“

N5 ქალთა სპეციალური დაწესებულების დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში N5 დაწესებულებაში სპეციალური საშუალებები არ გამოყენებულა და პატიმრის სხვა პატიმრებისგან განცალკევება არ მომხდარა. 2016 წლის პერიოდში დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანილ იქნა 118 პატიმარი. 2016

წლის განმავლობაში უსაფრთხოების ღონისძიება არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსებულ იქნა 5 პატიმრი.[24]

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება.**

5. პატიმრობის პირობები

5.1 ფიზიკური გარემო, სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა

პენიტენციური დეპარტამენტის N5 დაწესებულება განკუთვნილია ქალ პატიმართა განთავსებისთვის. დაწესებულებაში არის 7 საცხოვრებელი კორპუსი: საპატიმრო განყოფილება, A, B, C და D კორპუსები, ტუბერკულოზით დაავადებულთა საცხოვრებელი, დედათა და ბავშვთა განყოფილება.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 დაწესებულებაში 2016 წლის განმავლობაში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს[25], რომლის ფარგლებშიც მოეწყო საპატიმრო ნაწილის კორპუსის ორი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორი სპეციალური საკანი; გარემონტდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შემოწმება-დათვალიერების ოთახი; შეკეთდა სამედიცინო ნაწილში არსებული რამდენიმე პალატა, ოთახი და კაბინეტი, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა ოთახები. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს პატიმრებისთვის განკუთვნილი საშხაპეების გარემონტება და პრივატულობის დაცვის მიზნით საშხაპე კაბინაზე ფარდების ჩამოკიდება. სახალხო დამცველი მიესალმება N5 პენიტენციური დაწესებულების პატიმრობის ნაწილში არსებულ 2 სამარტოო საკანში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.[26]

მიუხედავად ამისა, დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არ არის საკმარისი ხელოვნური ვენტილაცია. საპატიმრო განყოფილებაში არსებული საკნების სანიტარულ-ჰიგიენური

---

[24] N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193).
[25] N5 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის MOC 3 1700036373 წერილის თანახმად
[26]2017 წლის 17 თებერვალს N5 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოგზავნილი დირექტორის MOC81700125225 წერილობითი პასუხი (სახალხო დამცველი აპარატში რეგისტრაციის ნომრით 03-4/1765).

მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, საკნები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. საკნებში არ მოდის ცხელი წყალი, პატიმრებს ტანსაცმლის გარეცხვა უწევთ ხელით, პირდაპირ ონკანის ქვეშ, ცივ წყალში, ხოლო პირადი ჰიგიენის დასაცავად უხდებათ წყლის გაცხელება მადუღარით. საპატიმრო განყოფილების საკნებში მყოფი პატიმრების განმარტებით, საშხაპეში ყოფნის დრო შეზღუდულია (როგორც პატიმრები ამბობენ, შხაპისთვის 15-20 წუთი აქვთ). პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით.

საპატიმრო განყოფილებაში არსებული სასეირნო ეზოები ვიზუალურად არ განსხვავდება საკნებისგან. პატიმრობის განყოფილებაში მყოფი პატიმრებისთვის არ არსებობს სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის/ვარჯიშისათვის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტისას, „A“ კორპუსში მცხოვრები პატიმრები აცხადებდნენ, რომ ისინი არ იმყოფებიან სხვა პატიმრებთან თანაბარ მდგომარეობაში, რაც გამოიხატება, დაწესებულების „C“ და „D“ კორპუსების ტერიტორიაზე მცხოვრები პატიმრებისაგან განსხვავებით, მათთვის კომპიუტერის და სალონის რეგულარულად ხელმისაწვდომობის პრობლემაში. აღსანიშნავია, რომ იგივე პრობლემა იდგა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წელს (19-20 თებერვალი) განხორციელებული ვიზიტის დროს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

5.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადეობის დაცვა დანაშაულისგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელია, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ასეთი პიროვნების საზოგადეობაში რეინტეგრაციას, ისე რომ მათ შეძლონ კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა. ამისათვის დაწესებულებამ ან სხვა უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ პატიმრის განათლება, პროფესიული სწავლება, მუშაობა და სხვა სახის აღმზრდელობითი და სპორტული ხასიათის დახმარე აქტივობები. აუცილებელია, რომ ყველა მსგავსი პროგრამა, აქტივობა და მომსახურება პატიმარს მიეწოდოს მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.[27]

ბანკოკის წესების შესაბამისად, ქალ პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი დაბალანსებულ და მრავლისმომცველ პროგრამებზე, რომელიც ითვალისწინებს გენდერისათის შესაფერის საჭიროებებს.[28]

იმისათვის, რომ ქალი პატიმრებისათვის შეთავაზებულ იქნეს ინდივიდუალურ და გენდერულ საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები, პირველ რიგში

[27] მანდელას წესები, წესი 4.
[28] ბანკოკის წესები, წესი 43 (1).

აუცილებელია, რომ მოხდეს ქალი პატიმრების კლასიფიკაცია, რათა შეზღუდვები, რომლებიც გამოიყენება მათ მიმართ არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალი მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან ქალთა სპეციალური დაწესებულებაში, რომელიც გათანაბრებულია ნახევრად ღა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან.[29] ასევე, პატირმობის კოდექსის შესაბამისად, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სასჯელს იხდიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები.[30] აღსანიშნავია, რომ დახურული ტიპის რეჟიმში შეზღუდულია პატიმართა თავისუფალი გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიაზე.[31]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, საკანში ყოფნის დროს ბრალდებულებს არ აქვთ შესაძლებლობა დაკავდნენ მათთვის საინტერესო აქტივობებით. საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წლის ანგარიშში მიუთითა, რომ ბრალდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვა დადებით გავლენას მოახდენს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა, თუმცა ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

„A“ კორპუსში მცხოვრები პატიმრები აცხადებდნენ, რომ ისინი არ იმყოფებიან სხვა პატიმრებთან თანაბარ მდგომარეობაში, რაც გამოიხატება, დაწესებულების C და D კორპუსების ტერიტორიაზე მცხოვრები პატიმრებისაგან განსხვავებით მათთვის კომპიუტერისა და სალონის რეგულარულად ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. აღსანიშნავია, რომ იგივე პრობლემა იდგა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წელს (19-20 თებერვალი) განხორციელებული ვიზიტის დროს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

2016 წლის განმავლობაში N5 ქალთა დაწესებულებაში ჩატარდა სხვადასხვა სახის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის მიმართული აქტივობები:[32]

N5 დააწესებულებაში განხორციელებული აქტივობები	**მონაწილეთა რაოდენობა**
ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები	
ატლანტისი	16

[29] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 72 ნაწილი 1.
[30] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 64.
[31] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12.
[32] N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193).

გათავისუფლებისთვის მზადება	11
ოჯახურ სირთულეებთან გამკლავება	6
კოგნიტური და სოციალური უნარები	18
ტრენინგი სტრესის შესახებ	6
სპორტული/კულტურული ღონისძებები	
შეჯიბრი საზრიანობასა და შემოქმედებითობაში	100
ღონისძიება „ქალი მომავლის იმედით“	150
პანტონიმის თეატრი	12
სპექტაკლი „კაცი რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“	100
სპექტაკლი „ვიდრე უფლისწული თავს მოიკლავს“	100
თეატრალური წარმოდგენა „მოდით მნახეთ, მე აქ ვსახლობ, მზე აქ შემიჩერებია“	33
მონაწილეობა გადაცემაში „ცოდნა ფულია“	2
მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“	100
„გადაწერე ვეფხისტყაოსანი“	3
პოეზიის საღამო	50
ლიტერატურული კონკურსი	4
მუსიკალური კონცერტები	150
მხატვრული ფილმების ჩვენება	80
პროფესიული, სახელობო კურსები/ტრენინგები	
გიდის (ტურიზმი) სატრენინგო პროგრამა	11
სასტუმროს პერსონალის მომზადება	9
სასტუმროს საქმის მწარმოებელი	10
ტუროპერატორის კურსი	9
ლექცია თემაზე „საუბრები თანგმანზე“	40
ლექცია- სემინარი რელიგიურ და თეოლოგიურ თემებზე	90
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები	176
ტრენინგი ადამიანებით ვაჭრობის წინააღდეგ ბრძოლის (ტრეფიკინგის) შესახებ	36
ტრენინგი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ	7
კერვა	12
სტილისტი	28
თექა	13
მასაჟის შემსწავლელი კურსი	18
ქართული ენის შემსწავლელი კურსი	24
ინგლისურის ენის შემსწავლელი კურსი	28

გერმანული ენის შემსწავლელი კურსი	17
კომპიუტერული გრაფიკა	4
კომპიუტერული საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსი	10

გარდა ცხრილში არსებული აქტივობებისა, N5 დაწესებულებაში ასევე ჩატარდა მხატვრული ფილმების ჩვენება და კონცერტები.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისთვის კუთხით ჩატარებულ აქტივობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“, რომელიც წარმოადგენს ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან სხვა ფსიქო-აქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის თერაპიულ მოდელს. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს გათავისუფლებისათვის მომზადების, ოჯახურ სირთულეებთან გამკლავებისა და კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებისათვის ჩატარებული ტრენინგები.

სახალხო დამცველი 2015 წელს გაცემულ რეკომენდაციაში აღნიშნავდა, რომ რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებების გამოყენება უნდა ხდებოდეს დანიშნული სასჯელის, ჩადენილი დანაშაულის, დამნაშავის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.

სახალხო დამცველი მიესალმება ქალი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში უნდა განხორციელდეს.

ინდივიდუალური გეგმები არ იძლევა სრულ სურათს მსჯავრდებულის საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ დადგენილი ან გატარებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია რესოციალიზაციისათვის კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და პროგრამების შერჩევისას ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის მნიშვნელოვან კომპონენტს პატიმრის ფსიქოლოგიური მხარდაჭერა წარმოადგენს. ბანგკოკის წესების შესაბამისად, საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი მომსახურება იმ ქალი

პატიმრებისთვის, რომლებსაც ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ფიზიკური, ფსიქიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.[33] აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ ჰყავს კლინიკური ფსიქოლოგი, არ ტარდება ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევა და სხვა ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოთერაპიული აქტივობები.

სახალხო დამცველი მიესალმება ქალი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც ქალ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში უნდა განხორციელდეს.

სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავს, დაწესებულებაში სპორტული და სხვა სახის კულტურული ღონისძებების, პროფესიული, სახელობო და ტრენინგების ჩატარებას.

პატიმართა დასაქმება

მანდელას წესების შესაბამისად, დასაქმება მოიაზრება, როგორც რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალება. სამუშაო მეთოდები და ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ფარგლებს გარეთ არსებულ სამუშაოს, რათა მოხდეს პატიმრების თანდათანობითი მომზადება საზოგადოებასთან ინტეგრირებისთვის. ასევე, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ სამუშაოს არჩევის შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ხელობის არჩევის წესსა და დაწესებულების მართვისა და დისციპლინის მოთხოვნებს.[34]

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ N5 დაწესებულება წარმოადგენს მოწინავე დაწესებულებას პატიმრებისათვის მიზნობრივი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზების კუთხით. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესიული და სახელობო კურსების შეთავაზების პრაქტიკა.

მანდელას წესების შესაბამისად, პატიმრებისთვის მიცემული სამუშაო შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ისეთი, რომ აუმაღლოს ან მიანიჭოს მათ კვალიფიკაცია, რომელიც გათავისუფლების შემდეგ მისცემს კეთილსინდისიერი შრომის შესაძლებლობას. სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავს 2016 წელს[35] 2015 წელთან[36] შედარებით N5

---

[33] ბანგკოკის წესები, წესი 42 (4).

[34] მანდელას წესები, წესები (96-99).

[35] 2016 წელს დაწესებულების სამეურნეო ნაწილში დასაქმებული იყო 36 მსჯავრდებული, იხ. N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193).

[36]2015 წელს დაწესებულების სამეურნეო ნაწილში დასაქმებული იყო 17 მსჯავრდებული, იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმი ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ

დაწესებულებაში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობის გაზრდას. ამასთან, მისასალმებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულებისათვის ინდივიდუალური საქმიანობისათვის მიკრო ბიზნესის სტატუსი მინიჭება, რითაც პატიმრებს შესაძლებლობა ეძლევათ მოახდინონ მათ მიერ შექმნილი ნაკეთობების რეალიზაცია ონლაინ მაღაზიის მეშვეობით და მიიღონ შემოსავალი.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა რეგულირდება „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.[37] დაწესებულების დირექტორის ბრძანება მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვის შესახებ არ შეიცავს ისეთ მონაცემს, როგორიცაა შესასრულებელი სამუშაოს სახე. აღნიშნული კი შრომის კოდექსის მე-6 მუხლშია[38] გაწერილი და შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს. შესასრულებელი სამუშაოს სახის განუსაზღვრელობა მუშა მსჯავრდებულებს დაწესებულებაში ისეთი სამუშაოს შესრულების საფრთხის წინაშე აყენებს, რაც მათთვის დასაქმებამდე უცნობი იყო.

2015 წელს, საპარლამენტო ანგარიშში, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განსაზღვრულიყო, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა. თუმცა, 2016 წლის განმავლობაში, დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, მათი სურვილის მიუხედავად, კვლავ უწევს შაბათ-კვირას, სადღესასწაულო დღეებში და საჭიროების შემთხვევებში, ღამის საათებში მუშაობა. შესაბამისად, აუცილებელია, მსჯავრდებულებს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში გაეწეროთ, კონკრეტულად რა საქმის შესასრულებლად ხდება მათი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკითა და მის მიერ

დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი), გვ 12, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3285.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[37]„მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157-ე ბრძანება, დანართი 1, მუხლი 2, პუნქტი 4.

[38] მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

საათობრივად შესრულებული სამუშაოს მითითებით. აღნიშნული ჟურნალის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დადგინდეს, თუ რამდენ საათს მუშაობს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული თითოეული მსჯავრდებული, ასრულებენ თუ არა ისინი ზეგანაკვეთურ სამუშაოს და როგორ ანაზღაურდება ზეგანაკვეთური მუშაობა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულთა სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვა**
- **მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებაში ტარდებოდეს ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევები და სხვა ინდივიდულაური და ჯგუფური ფსიქოთერაპიული აქტივობები**
- **სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განისაზღვროს, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა**
- **შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო; ასევე განხილულ იქნეს ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საკითხი**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრებისთვის სათანადო, უსაფრთხო სამუშაო პირობების შესაქმნელად**

რეკომენდაცია N5 დაწესებულების დირექტორს:

- **მიიღოს ყველა ზომა, რათა „A“ კორპუსში მცხოვრები პატიმრებს C და D კორპუსების ტერიტორიაზე მცხოვრები პატიმრების მსგავსად მიუწვდებოდეთ ხელი კომპიუტერისა და სალონის მომსახურებაზე.**

6. სამედიცინო მომსახურება

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო ფაქტის მე-12 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯამრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.[39] გაეროს მე-14 ზოგად კომენტარში ჯანმრთელობის დაცვის უფლება განსაზღვრულია ოთხი კომპონენტით: სამედიცინო მომსახურების რაოდენობრივი უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების

[39]გაეროს გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 10 დეკმებერი.

ხელმისაწვდომობა, მისაღები სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო მომსახურების ხარისხი.[40]

აღნიშნული პრინციპები თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე, მათ შორის პატიმრობაში მყოფ პირებთან მიმართებაში. პატიმრობაში მყოფი პირები ჩვეულებისამებრ ინარჩუნებენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ფუნდამენტალურ უფლებებს. სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემამ პატიმრებისათვის უნდა უზრუნველყოს ისეთივე სტანდარტის მკურნალობა, როგორითაც სარგებლობენ დაწესებულების გარეთ მყოფი პირები.[41]

პირის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდანვე, სახელმწიფო ვალდებულია გამოიჩინოს მზრუნველობა პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და უზრუნველყოს, როგორც პირის შესაბამისი გარემოპირობებში მოთავსება, აგრეთვე გაუწიოს შესაბამისი ინდივიდუალური მკურნალობა.[42] ციხის ევროპული წესების შესაბამისად, საპატიმრო სასჯელის აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებში, რომელიც არ ხელყოფს ადამიანის ღირსებას და მათ ამზადებს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის.[43]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით,[44] კონვენციის მესამე მუხლი (წამების აკრძალვა) სახელმწიფოს აკისრებს თავისუფლება აღკვეთილი პირების ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას, მათ შორის ასეთი პირებისათვის საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევის გზით. დაკავებულ პირთათვის ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.[45]

---

[40]გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR),ზოგადი კომენტარი N14, უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს მიღწევად სტანდარტზე, (პაქტის 12 მუხლი) 2000 წლის 11 აგვისტო.

[41]ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 63, პუნქტი 38, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[42]მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გზამკვლევი ციხის ჯანდაცვის ძირითად ასპექტებთან დაკავშრებით, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0009/99018/E90174.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[43]ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006) წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (ევროპული ციხის წესები), პრეამბულა, 2006 წლის 11 იანვარი.

[44]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის განჩინება საქმეზე *დუბეკა ალბანეთის წინააღმდეგ (Dubeku v. Albania)*, პარ. 41.

[45]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე *პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia),* პარ. 47-49.

სამედიცინო ინფრასტრუქტურა

ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენს სამედიცინო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, დაწესებულების სამედიცინო მოწყობილობებით აღჭურვა და მისი შესაბამისობა სამედიცინო ნორმატივებთან.[46] პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პუნქტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ ძირითად და მინიმალურ მოთხოვნას, რაც ჯანდაცვის მომსახურებათა ეკვივალენტური მიწოდებისათვის არის აუცილებელი.[47]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N5 პენიტენციური დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულთა ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მათთვის სათანადო სამედიცინო სერვისების მიწოდების მიზნით დაწესებულებაში ფუნქციონირებს საექიმო-სამედიცინო პუნქტი, რომელიც სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ტერიტორიული ერთეულია და არ შედის დაწესებულების სტრუქტურაში. საექიმო-სამედიცინო პუნქტში საქმიანობას ეწევიან სამინისტროს სამოქალაქო სამსახურის საჯარო მოსამსახურეები და მოწვეული სპეციალისტები.[48]

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ნაწილში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიუხედვად ამისა, სამედიცინო ნაწილის რამდენიმე პალატაში, რომლებიც საშხაპის გვერდით მდებარეობს კედლები ნესტიანი და დაზიანებულია.

პოსტოპერაციული პალატის სამანიპულაციო ოთახის საპირფარეშოში შესასვლელად მოწყობილია 20 სმ სიმაღლის კიბის საფეხურები, რომელიც გადაადგილების შემაფერხებელი გარემოებას წარმოადგენს ნაოპერაციები პაციენტების მხრიდან დამოუკიდებლად გადაადგლილების შემთხვევაში. ასევე აღსანიშნავაია, რომ საპირფარეშოში გამართულად არ მუშაობს სავენტილაციო სისტემა.

N5 დაწესებულების სამეიდიცინო ნაწილის პირველ სართულზე მოწოყობილია რენტგენის 2 ოთახი. ერთ ოთახში დამონტაჟებულია ყბა-სახის რენტგენის აპატრატი, ხოლო მე-2 ოთახში საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ რენდგენის პორტატული აპარატი. რენტგენის ოთახები ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვარის №83 დადგენილებით დამტკიცებული „რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები რენტგენის კაბინეტების,

---

[46]გაეროს მე-14 ზოგადი კომენტარი, პარა 12.

[47]ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 148, პუნქტი 29, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[48]საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №116, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 12, მე-3 ნაწილი.

აპარატების მოწყობის, ექსპლუატაციისა და რენტგენოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისადმი ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს.[49]

სამედიცინო მომსახურება

2016 წლის მდგომარეობით, N5 დაწესებულებაში პაციენტთა სამედიცინო მომსახურებას აწარმოებდაპენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ქალი ბრალდებულებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი სარეაბილიტაციო აქტივობები. 6 ექიმი (ამათგან: 1 მთავარი ექიმი, 1 დღის პჯდ ექიმი, 4 მორიგე ექიმი), 1 სტომატოლოგ-კონსულტანტი და 9 ექთანი, რომელთაგან 4 არის მორიგე ექთანი და 1 - წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი).[50]

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების მიხედვით, ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პატიმრებისათვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად. სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა.[51]

მსჯავრდებულს ამბულატორიული დახმარება აღმოეჩინება, როგორც წესი, საექიმო-სამედიცინო პუნქტში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში საცხოვრებელში. მედიკამენტების გაცემა ხდება ექიმის დანიშნულებით.[52]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურება კარგია, საჭიროებისას დროულად უტარდებათ შესაბამისი ექიმი – სპეციალისტების კონსულტაციები, როგორც პენიტენციურ, ისე სამოქალაქო სექტორში. ასევე, დროულად მიეწოდებათ დანიშნული მედიკამენტები. სამედიცინო ბარათების შესწავლისას ჩანს ექიმ – სპეციალისტთა აქტიური

---

[49]სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს 2016 წლის 29 თებერვალის MOC 4 16 00168766 მოხსენებითი ბარათი სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სამმართველოს თანამშრომლების მიერ საექიმო-სამედიცინო პუნქტების/სამედიცინო ნაწილების/პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტის გეგმიური მონიტორინგი/შეფასება.

[50] N5 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 16 იანვრის წერილი MOC 317 00036373 (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N03-3/193) (შემდგომში N5 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის წერილი).

[51] ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ევროპული კომიტეტი, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 61, პუნქტი 34, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

[52] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 56(8).

მონაწილეობა პაციენტთა მკურნალობა-მეთვალყურეობის პროცესში. მიუხედავად ამისა, არის რიგი ხარვეზები, რომლებიც მოითხოვს შესაბამის რეაგირებას. კერძოდ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როდესაც პაციენტს მკურნალობა ჩაუტარდა დაგვიანებით და არასრულყოფილად. ზოგიერთი პატიმარი უკმაყოფილებას გამოხატავდა ექიმ-კონსულტანტების მხრიდან უხეში დამოკიდებულების გამო. ერთ-ერთმა კონსულტანტმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთანაც დააფიქსირა საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება მსჯავრდებულების მიმართ.

სპეციალისტების მიერ ჩატარებული კონსულტაციები

N5 დაწესებულებაში პატიმრები ასევე სარგებლობენ მოწვეული ვიწრო სპეციალიზაციის ექიმების მომსახურებით. დაწესებულებაში ექიმის გარედან მოწვევა ხდება, როგორც ინდივიდუალური, ასევე მულტი-დისციპლინური ჯგუფების სახით, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სპეციალიზაციის სამედიცინო პერსონალს.

2016 წლის განმავლობაში დაწესებულებაში ჩატარდა მოწვეული ფსიქიატრის, ოტორალინგოლოგის, კარდიოლოგის, გინეკოლოგის, ენდროკრინოლოგის, ანგიოლოგის, რენტგენოლოგის, რადიოლოგის, პროქტოლოგის, პედიატრის, ინფექციონისტის და ნევროლოგის კონსულტაციები.

სახალხო დამცველი მიესალმება პენიტენციურ დაწესებულებებში მოწვეულ ექიმ-სპეციალისტების მიერ განხორციელებული კონსულტაციების აღრიცხვის ერთიანი ჟურნალის შემუშავებას. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ N5 დაწესებულებაში არ ხდებოდა აღრიცხვის ერთიანი ჟურნალების სრულყოფილი შევსება. კერძოდ, ჟურნალის შესაბამის გრაფაში არ ეწერა პაციენტის ექიმ-სპეციალისტთან ჩაწერის თარიღი.

რეფერალი

დაწესებულების დებულების მიხედვით, თუ მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. [53]

გადაუდებელ შემთხვევებში, დაუყოვნებელი რეაგირების აუცილებლობისას, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის დაყოვნება საფრთხეს უქმნის პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მართლმსაჯულების განხორციელებას ან სხვა

[53] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულება, მუხ. 52(9).

სამართლებრივ სიკეთეებს[54], შესაძლებელია პატიმრის გადაყვანა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამარტივებული პროცედურებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციური დაწესებულებებში სამედიცინო რეფერალის შესწავლის დროს დადგინდა, რომ დაწესებულების მთავარი ექიმი უმეტეს შემთხვევებში დროულად აგზავნის სამედიცინო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირების მოთხოვნას, აგრეთვე, მისასალმებელია, რომ 2016 წელს წინა პერიოდთან შედარებით გამოსწორებულია სამედიცინო დეპარტამენტის მხრიდან მოთხოვნის დადასტურება. მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში იყვნენ პაციენტები, რომელთა გადაყვანის მოთხოვნა დადასტურებულ იქნა 2015 წელს, მაგრამ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროისათვის, ისინი არ იყვნენ გადაყვანილნი გეგმიური მომსახურეობის მისაღებად.

ასე მაგალითად,

- მსჯავრდებულ ლ.ქ-ს 2015 წლის 16 მაისს ჩაუტარდა ანგიოქირურგის კონსულტაცია, რა დროსაც მიეცა ფლებექტომიის დუპლექსსკანირების კონსულტაცია. მთავარი ექიმის მიერ ცნობა მომზადდა 2015 წლის 18 მაისს და იმავე დღესვე აიტვირთა პროგრამაში. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურდა 2015 წლის 17 დეკემბერს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის (2017 წლის 26-27-30-31 იანვარი) ვიზიტის დროისათვის პაციენტი აღნიშნული გეგმიური მომსახურების მისაღებად გადაყვანილი არ ყოფილა.

- მსჯავრდებული გ.ნ-ს 2015 წლის 29 ოქტომბერს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია. რა დროსაც მიეცა ლიპომის ქირურგიული მკურნალობის რეკომენდაცია. მთავარი ექიმის მიერ პროგრამაში მიმართა აიტვირთა 2015 წლის 29 ოქტომბერს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურდა 2015 წლის 17 დეკემბერს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის (2017 წლის 26-27-30-31 იანვარი) ვიზიტის დროისათვის პაციენტი აღნიშნული გეგმიური მომსახურების მისაღებად გადაყვანილი არ ყოფილა.

- მსჯავრდებული ც.ნ-ს 2015 წლის 18 დეკმებრს ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, რა დროსაც დაუდგინდა პოსტოპერაციული ჭიპის თიაქარი. მთავარი ექიმის მიერ პროგრამაში მიმართვა აიტვირთა 2015 წლის 18 დეკემბერს. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურდა 2016 წლის 19 აპრილს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის (2017 წლის 26-27-30-31 იანვარი) ვიზიტის დროისათვის

[54] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №149 2015 წლის 19 ოქტომბერი ქ. თბილისი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ.

პაციენტი აღნიშნული არაგეგმიური მომსახურების მისაღებად გადაყვანილი არ ყოფილა.

- მსჯავრდებულ დ.მ-ს 2016 წლის 16 მაისს ჩაუატარდა ოტორალინგოროგის კონსულტაცია, რა დროსაც დაუდგნდა ცხვირის ძგიდის რეზექცია და ნიჟარების დეზინტექცია. მთავარი ექიმის მიერ მიმართვა პროგრამაში აიტვირთა 2016 წლის 4 ივლისს, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურდა 2016 წლის 5 ივლისს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის (2017 წლის 26-27-30-31 იანვარი) ვიზიტის დროისათვის პაციენტი აღნიშნული გეგმიური მომსახურების მისაღებად გადაყვანილი არ ყოფილა.

- მსჯავრდებულ გ.ზ-ს 2016 წლის 24 მაისს ჩაუტარდა ტრავმატოლოგის კონსულტაცია, რა დროსაც დაუდგინდა ორმხრივი კოსკართროზი და მარჯვენა ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა და მიეცა მარცხენა მენჯის ბარძაყის ოპერაციული მკურნალობის რეკომენდაცია. მთავარი ექიმის მიერ იმავე დღესვე ატვირთა მიმართვა და იმავე დღესვე მოხდა სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დადასტურება. სპეციალური პრევენციული ჯგუფის (2017 წლის 26-27-30-31 იანვარი) ვიზიტის დროისათვის პაციენტი აღნიშნული გეგმიური მომსახურების მისაღებად გადაყვანილი არ ყოფილა.

აფთიაქი/წამლების სამარაგო

აფთიაქი იზოლირებულია და განთავსებულია სამედიცინო ნაწილის კორპუსის პირველ სართულზე. სამარაგო ოთახში მედიკამენტები განლაგებულია სპეციალურად წამლებისათვის განკუთვნილ თაროებზე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები ინახება რკინის სეიფში. ოთახი აღჭურვილია მაცივრით, კონდიციონერით და თერმომეტრით. დაცულია მედიკამენტების შენახვის ტემპერატურული რეჟიმი.

წამლის სამარაგოს კედლები და იატაკი მოპირკეთებულია იმგვარად, რომ შეუძლებელია სველი წესით დამუშავება, რის გამოც დაცული არ არის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბერის N575 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების“ პირველი მუხლით აფთიაქისათვის განსაზღვრული სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობები.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა ზომა, რათა სამედიცინო ნაწილის საშხაპეების გვერდით არსებულ პალატებში განხორციელდეს სარემონტო სამუშაოები;**

- მიიღოს ყველა ზომა, რათა ოპერაციის შემდგომი სამანიპულაციო ოთახის საპირფარეშოებში შესასვლელად მოწყობილი კიბე ადაპტირებული იყოს პოსტოპერაციული პაციენტებისათვის;
- მიიღს ყველა ზომა, რათა რენტგენის ოთახი აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვარის №83 დადგენილებით დამტკიცებული „რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები რენტგენის კაბინეტების, აპარატების მოწყობის, ექსპლუატაციისა და რენტგენოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისადმი ტექნიკური რეგლამენტში“ ჩამოყალიბებულ პირობებს
- მიიღოს ყველ ზომა, რათა წამლის სამარაგოს კედლებისა და იატაკის მოპირკეთება განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბერის N575 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;
- უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველოს მიერ N5დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის შემოწმების პროცედურების მონიტორინგი, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში გამოირიცხოს თანამშრომლების თვითნებობა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შემოწმება განხორცილდეს არსებული ნორმატიული ბაზისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ექიმ-სპეცილისტების მიერ ხდებოდეს დაწესებულების აღრიცხვის ერთიანი ჟურნალების სრულყოფილი შევსება, კერძოდ, შესაბამის გრაფაში მიეთითოს პაციენტის ექიმ-სპეციალისტთან ჩაწერის თარიღი.

7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.[55] ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.[56] ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.[57] დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.[58] მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[59]

---

[55] ციხის ევროპული წესები. წესი 56.1
[56] იქვე, წესი 56.2
[57] იქვე, წესი 60.2
[58] იქვე, წესი 60.3
[59] იქვე, წესი 60.4

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო N5 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. დიციპლინური სახდელების გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

გამოყენებულ დისციპლინური სახდელების სახეები	**რაოდენობა**	
	2015 წლის მომაცემები	2016 წლის მონაცემები
გაფრთხილება	23	6
საყვედური	26	8
ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა	0	1
საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა	14	15
სამარტოო საკანში მოთავსება	1	3
სატელეფონო საუბრის შეზღუდვა	1	1
ხანმოკლე პაემნის აკრძალვა	1	0
ნებადართული ნივთით (ტელევიზორით სარგებლობის უფლების შეზღუდვა)	1	0
სულ	**67**	**34**

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2016 წლის მონაცემებით თითქმის განახევრებულია დისციპლინური სახდელების გამოყენების რაოდენობა. მისასალმებელია, რომ 2016 წლის მონაცემებით არ დაფიქსირებულა ხანმოკლე პაემნების შეზღუდვა.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეამოწმა სამარტოო საკნებში არსებული პირობები. აღსანიშნავია, რომ სამარტოო საკნებში მძიმე პირობებია, ოთახები საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს.

პატიმართა წახალისება

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა

და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები.[60]

აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან[61] შედარებით 2016 წელს[62] ზოგადად შემცირებულია წახალისების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2016წელს[63] 2015 წელთან[64] შედარებით გაზრდილია პატიმართა წახალისება მსჯავრდებულთა სარეაბილიატაციო აქტივობებში მონაწილეობისათვის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პატიმართა ხშირ წახალისებას შეუძლია ხელი შეუწყოს პატიმართა ქცევის კორექციას, შეასუსტოს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენა და ამგვარად დადებითი გავლენა იქონიოს რესოციალიზაციის პროცესზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ N15 დაწესებულებაში გაძლიერდეს პატიმართა წახალისების პოლიტიკა.

რეკომენდაცია დაწესებულების დირექტორს:

- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულების დირექტორმა, შესაბამისი საფუძვლის არსებობებისას, უფრო ხშირად გამოიყენოს წახალისების ფორმები, მათ შორის სარეაბილიტაციო აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.**

8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის

---

[60] პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

[61] 2015 წელს პატიმართა წახალისება განხორციელდა147-ჯერ;

[62] 2016 წელს პატიმართა წახალისება განხორციელდა 51- ჯერ;

[63] 2016 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობისათვის წახალისდა 33 მსჯავრდებული;

[64] 2015 წელს სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობისათვის წახალისდა 26 მსჯავრდებული;

უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.[65]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 79-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

პაემანი

საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, ქალი პატიმრები სარგებლობენ ხანმოკლე, ხანგრძლივი და საოჯახო პაემნის შესაძლებლობით.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი. ამავე კანონის 173 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქალი მსჯავრდებულები სარგებლობენ საოჯახო პაემნის უფლებით - შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან (მშვილებელთან), დასთან და ძმასთან. საოჯახო შეხვედრა მიმდინარეობს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში და გრძელდება არა უმეტეს 3 საათისა. N5 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული პასუხის თანახმად, დაწესებულებაში საოჯახო პამენის განხორციელება არ ხდება, ვინაიდან დაწესებულებაში არ არის მოწყობილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა შესაძლებელი იყოს საოჯახო პაემნით სარგებლობა.

სახალხო დამცველი მიესალმება N5 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. აღსანიშნავია, რომ N5 დაწესებულებაში 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა 58 ხანგრძლივი პაემანი.

---

[65] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

სატელეფონო საუბარი

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად,ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა. საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, ქალ ბრალდებულს ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში 3-ჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა. აღნიშნული უფლება ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგების დროს N5 დაწესებულებებიდან რამდენჯერმე სცადეს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე (1481) დარეკვა, თუმცა უშედეგოდ.

N5 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია, როგორც დახურული ტიპის განყოფილების დერეფანში, მორიგე ცვლის დასასვენებელი ოთახის გვერდით კედელზე ჩამოკიდებული ტელეფონის აპარატით, ასევე საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატებით. სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ დახურულ ტიპის დაწესებულებებში არსებული სატელეფონი აპარატები განთავსდეს ადმინისტრაციის ოთახებისგან მოშორებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა.

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე განთავსებული ტელეფონის აპარატები განთავსებულია ღია სივრცეში შესაბამისი გადახურვისა და სატელეფონო კაბინების გარეშე, რაც პრობლემას ქმნის უამნიდობისას ტელეფონით სარგებლობისას. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს[66] 2015 წელთან[67] შედარებით გაიზარდა ვიდეოპამნების განხორციელების რაოდენობა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებაში მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა საოჯახო პაემნის უზრუნველსაყოფად**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულმა პატიმრებმა საჭიროების შემთხვევაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში,**

[66] 2016 წელს განხორციელდა 29 ვიდეოპაემანი;
[67] 2015 წელს განხორციელდა 11 ვიდეოპაემანი;

დაუბრკოლებლად შეძლონ სახალხო დამცველის აპარატისა და ინსპექტირების სხვა ორგანოების ცხელ ხაზზე დარეკვა

- მიიღოს ყველა ზომა, რათა ქალ პატიმრებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ სახალხო დამცველთან დაკავშირების შესაძლებლობა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატები უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი გადახურვითა და კაბინებით, რათა შესაძლებელი გახდეს ტელეფონებით სარგებლობა უამინდობის შემთხვევაშიც
- მიიღოს ყველა ზომა, რათა დახურულ ტიპის დაწესებულებებში არსებული სატელეფონი აპარატები განთავსდეს ადმინისტრაციის ოთახებისგან მოშორებით და უზრუნველყოფილი იქნეს სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობა.

9. დედათა და ბავშვთა მდგომარეობა

ბანგკოკის წესების თანახმად, „გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, მიღებული უნდა იქნას ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში.“[68] 2015 წელს სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ სახალხო დამცველმა ანგარიშში გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მოითხოვდა, ბავშვის დედისაგან განცალკევებისას არ ეხელმძღვანელათ მხოლოდ ფორმალური წესებით და გადაწყვეტილებისას მიღებისას ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და განვითარების დონე გაეთვალისწინებინათ.[69]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ მეურვის მოძიების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში ბანგკოკის წესები გონივრული ვადით პატიმართა დროებითი გათავისუფლების შესაძლებლობასაც იძლევა. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემისთვის დამახასიათებელი საჯარო ინტერესებით უნდა დაბალანსდეს.[70]

---

[68] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 52.

[69] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 19-20 თებერვალი), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3285.pdf [ბოლოს ნანახია: 19.02.2017].

[70] წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები), წესი 52 2. 3.

სახალხო დამცველმა 2015 წლის ვიზიტის შემდგომ ანგარიშში მოითხოვა ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურების გადახედვა და დახვეწა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. რეკომენდაციის მიზანი იყო ბავშვის გარე სამყაროსთან შეგუების უზრუნველყოფა და ბავშვის დედასთან განშორების პროცესში ტრავმირების მინიმუმამდე შემცირება.[71]

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადებულ პატიმრობის კოდექსსა და თანმდევ კანონებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც დედათა მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიხედვით, სამი წლის ასაკის მიღწევის გამო, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებისას, იმისათვის, რომ იგი გარე სამყაროს შეეგუოს და ბავშვის ტრავმირება დედასთან განშორების დროს მინიმუმამდე შემცირდეს, ცვლილებები შედის პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლში, კერძოდ, ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშმა დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მიეცემა უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში (შაბათ-კვირა) დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება მსჯავრდებულისგან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება, მისი პიროვნული თვისებები, კრიმინალური წარსული, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებსაც პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინებს.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი ბავშვის სამი წლის ასაკის მიღწევის გამო დაწესებულების დატოვების წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე მუშაობის დაწყების ვალდებულების კანონპროექტის გარდამავალი დებულებით განსაზღვრას. სახალხო დამცველი დააკვირდება აღნიშნული წესის მიღებისა და განხორციელების პროცესს.

2016 წლის განმავლობაში N5 დაწესებულების დედათა და ბავშვთა განყოფილებაში მოთავსდა 32 მცირეწლოვანი ბავშვი.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დედებთან ერთად მოთავსებული ბავშვების აღზრდისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული ცხის გარეთ მყოფი ბავშვის გარემოსთან“[72]. დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი კორპუსის საცხოვრებელი

---

[71] სახალხო დამცველის ვიზიტის შემდგომი ანგარიში.
[72] იქვე, წესი 51.

პირობები და ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2015 წელს გაცემული რეკომენდაციის შესრულებას, კონკრეტულად კი, მისასალმებელია დედათა და ბავშვთა განყოფილებების საცხოვრებელ კორპუსში რემონტისა და ავეჯის განახლების სამუშაოების ჩატარებას.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ბავშვები უზრუნველყოფილი არიან გეგმიური სამედიცინო მომსახურებით, საჭირო საკვებით და ჰიგიენური საშუალებებით. დაწესებულებაში პედიატრი, გეგმიურად, კვირაში ერთხელ დადის, თუმცა, შესაძლებელია გამოძახებაც. ბავშვთა კვებას, საჭიროების შესაბამისად, დაწესებულების პედიატრი აძლევს შეკვეთას. დადებითად უნდა შეფასდეს დედისა და ბავშვის საკვებითა და ჰიგიენური საშუალებებით მომარაგების საკითხი.

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ ფსიქოლოგი დაწესებულებაში დედებთან ვერ მუშაობს. დედებისათვის არ ტარდება სპეციფიკური ფსიქოლოგიური განათლების სესიები ბავშვის აღზრდის და მოვლის უნარ-ჩვევების ასათვისებლად. სათანადო კვალიფიკაციური კადრის არყოლის გამო ასევე არ ტარდება ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევები.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა ზომა, რათა დედისა და ბავშვის განშორების პროცესში მაქსიმალურად მოხდეს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და განვითარების დონის გათვალისწინება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე**
- **მიიღოს ყველა ზომა, რათა დაწესებულებაში ტარდებოდეს ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევა ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც 3 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ და უზრუნველყოფილ იქნას ფსიქოლოგის დედასთან მუშაობა**
- **მიიღოს ყველა ზომა, რათა ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომელთაც 3 წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ, ჩატარდეს სპეციფიკური ფსიქოგანათლების სესიები ბავშვის აღზრდის და მოვლის უნარ-ჩვევების ასათვისებლად**

10. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი პატიმრები

მანდელას წესების შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ციხის კონტიგენტს შორის ხშირად გამოყენებულ ენებზე. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს არ ესმის არც ერთი ამ ენათაგანი, უნდა მოხდეს თარჯიმნის

მოსახურებით უზრუნველყოფა.[73] აღნიშნული აგრეთვე გულისხმობს, ინფორმაციის მიწოდებას დაწესებულების შინაგანაწესის, პატიმრის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ შორის, ისეთი ინფორმაციის მიწოდებას რაც დაეხმარება პატიმარს ციხის ცხოვრებასთან ადაპტაციაში.[74]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების უცხოელ პატიმრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ბრალდებულები/მსჯავრდებულები მათვის გასაგებ ენაზე სათანადოდ არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები მათ უფლებების შესახებ. არცერთ მათაგანს არ ჰქონდა გადაცემული მათვის გასაგებ ენაზე თაგრმნილი ინფორმაცია უფლებების შესახებ.

დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს უცხოელი პატიმრების კომუნიკაცია დაწესებულების თანამშრომლებთან. განსაკუთრებით, კი პრობლემურია კომუნიკაცია სამედიცინო პერსონალთან. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევაში ხდება თარჯიმნის მოწვევა, ძირითად შემთხვევაში ისინი მოკლებულნი არიან დაწესებულების პერსონალთან შესაბამის კომუნიკაციას. განსაკუთრებული პრობლემები იკვეთება ჩინეთისა და ბრაზილიის მოქალაქეებთან კომუნიკაციის კუთხით.

მნიშვნელოვანია, რომ რესურსები მიმართული იყოს იქეთკენ, რომ უცხოელი პატიმრებისათვის შეთავაზებულ იქნეს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და იაფი საერთაშორისო ზარის განხორციელების შესაძლებლობა. აგრეთვე, ტელეფონით საგრებლობის უფლების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქვეყნებს შორის არსებული დროის განსხვავება.[75]

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების პატიმრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ N5 დაწესებულებაში პრობლემურია უცხოელი პატიმრების ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია. . პატიმრების განცხადებით, საერთაშორისო ზარების განხორციელების სიძვირიდან გამომდინარე, ისინი ხშირად ვერ ესაუბრებიან ოჯახის წევრებს. ასევე, ძვირი ღირს წერილის გაგზავნა და ამანათების მიღება. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული სიშორის გამო, უცხოელი პატიმრები ფაქტიურად მოკლებულნი არიან ახლობლებთან ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნების განხორციელების შესაძლებლოაბს.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, შრომისა და პირადი უსაფრთხოებით.

---

[73] მანდელას წესები, წესი 55.

[74] მანდელას წესები, წესი 54.

[75]წამების პრევენციის ასოციაცია(APT), დაკავება ფოკუსში - სხეულის შემოწმება, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე ვებ-გვერდზე: http://www.apt.ch/detention-focus/en/detention_issues/6/ [ბოლოს ნანახია: 10.02.2017].

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში უცხოელი პატიმრებისთვის ახალი ტანისამოსის მარაგი არ არის. საჭიროების შემთხვევაშიურიგებენ მეორად ტანსაცმელებს, რაც საპატრიარქომ და სხვა უწყებებმა გადასცეს დაწესებულებას. აგრეთვე, უცხოელი პატიმრები ტანსაცმელს ძირითადად ყიდულობენ ქართველი პატიმრებისგან.

ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესების (ბანგკოკის წესები) თანახმად, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქალი პატიმრები წარმოდგენილნი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფებიდან. შესაბამისად, უნდა განავითაროს ისეთი პროგრამები და სერვისები, რომლებიც შეესაბამებიან მათ მოთხოვნებს.[76]

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტისას გაირკვა, რომ უცხოელ პატიმრებს, სხვა პატიმრების მსგავსად არ მიუწდვებათ ხელი დაწესებულებაში არსებულ აქტივობებზე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხული უცხოელი პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ დაწესებულებაში მათთვის არ ფუქნციონირებს რაიმე სახის სარეაბილიტაციო პროგრამები, რისი უმთავრესი მიზეზიც ენობრივი ბარიერია. მართალია, N5 დაწესებულებაში რიგ შემთხვევებში სთავაზობენ უცხოელ პატიმრებს ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ენის შემსწავლელი კურსების სამთვიანი ან თუნდაც 6-თვიანი კურსით ენის შესწავლა შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ კურსებს სისტემატური ხასიათი არ აქვს. ზოგიერთი პატიმრის განცხადებით, სურვილის მიუხედავად, ქართული ენის შემსწავლელი კურსების გავლის შესაძლებლობა არ მიეცათ.

აღსანიშნავია, რომ იგივე პრობლემა იდგა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წელს (19-20 თებერვალი) განხორციელებული ვიზიტის დროს. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს უცხოელი პატიმრების სათანადო ინფორმირება მათვის გასაგებ ენაზე**
- **მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელ პატიმრებს გადაეცეთ მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ დაბეჭდილი ინფორმაცია**
- **მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად გამარტივდეს კომუნიკაცია უცხოელ აპტიმრებსა და დაწესებულების პერსონალს შორის**
- **მიიღოს ყველა ზომა, რათა საერთაშორისო ზარის განხორციელება და წერილის გაგზავნა შესაძლებელი იყოს მაქსიმალურად დაბალ ფასებში**

[76] ბანკოკის წესები, წესი 54.

- მიიღოს ყველა ზომა, რათა სოციალურად დაცუველ უცხოელ პატირმებს მიეცეთ საერთაშორისო ზარის განხორციელების შესაძლებლობა
- ტელეფონით საგრებლობის უფლების განხორციელებისას მხედველობაში იქნეს მიღებული ქვეყნებს შორის არსებული დროის განსხვავება
- მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს უცხოელი პატიმრების სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელი პატიმრების ათვის უზრუნველყოილ იქნეს სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა.